საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახარობლიანთ ციხე

მახარობლიანთ ციხე, X ს. ციხე ხადის ხეობაში (დუშეთის მუნიციპალიტეტი). კოშკი შვიდსართულიანია. ნაგებია ნატეხი ქვით, რ-ის ზომა კოშკის სიმაღლესთან ერთად მცირდება. კუთხეებსა და კარ-სარკმელთა საპირედ დიდი ზომის თლილი ქვებია გამოყენებული. სამხრ-იდან, ბრტყელ კედელში, მიწის პირიდან დაახლ. 6 *მ*-ზე სწორკუთხა კარია დატანებული, რ-ის ორივე მხარეს ქვის კონსოლებია. აქ აივანი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. 1-ელი სართულის იატაკში ხვრელია, საიდანაც ცოკოლის სართულში შეიძლება მოხვედრა. კარის აყოლებაზე, ყოველ სართულზე ვიწრო სარკმელია გაჭრილი. მე-6 და მე-7 სართულებზე ფართო ღიობებია. ეს სართულები საბრძოლო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. მ. ც-ს სამხრ-ის მხრიდან ნახევარწრიული ბაქანი აქვს მიშენებული. მოშორებით კედლის ნანგრევებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, კოშკს წინა მხრიდან გალავანშემოვლებული ეზო ჰქონდა. პროპორციებით, წყობით, ბოლო სართულების თავისებური გადაწყვეტით მ. ც. ცეცხლისჯვრის კოშკის ანალოგია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., გ ი ო რ გ ი ძ ე მ., ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ლ., ხადის ხეობა, თბ., 1983.